

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე
მოსწავლეებისთვის წერა-კითხვის სწავლების სტრატეგიები

მედია გაგიძე

თამარ გურული

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის ქართული ენისა და
ლიტერატურის მასწავლებლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული, ფსიქოლოგიის დოქტორი
თანახელმძღვანელი : ნათელა მაღლაკელიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

1.2. განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომიწარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ გურული

მედეია გაგიძე

აბსტრაქტი

როგორც ცნობილია, წერა - კითხვის უნარი და მისი განვითარება სწავლის ყველაზე ძლიერ საყრდენს წარმოადგენს. იგი არამხოლოდ მშობლიური ენისა და ლიტერატურის, არამედ ნებისმიერი სხვა საგნის სწავლების საფუძველს წარმოადგენს.

ჩვენი სამაგისტრო ნაშრომი სწორედ წერა-კითხვის სტრატეგიებზეა ფოკუსირებული.

წერა-კითხვის სწავლება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შემდგომში: სსსმ) მოსწავლეთა სწავლებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. სსსმ მოსწავლეები, რომლებმაც არ იციან წერა-კითხვა, ვერ ძლევენ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ ბარიერს, ჩამორჩებიან თანატოლებს სწავლაში, აქვთ სწავლის მიმართ დაბალი მოტივაცია, წარუმატებლობა აკადემიურ მიღწევებში იწვევს სსსმ მოსწავლეთა ქცევისა და ემოციური სფეროს პრობლემებს, რაც კიდევ უფრო ართულებს აკადემიური ჩვევების დაუფლებას.

პრობლემის გაუმჯობესების მიზნით გადავწყვიტეთ შეგვემუშავებინა სსსმ მოსწავლეთა წერა-კითხვის უნარის გასაუმჯობესებელი სტრატეგიები და შეგვეფასებინათ ეფექტურობა კვლევის ექსპერიმენტული მოდელის გამოყენებით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 4-მა სსსმ მოსწავლემ, მსუბუქი ხარისხის ინტელექტუალური დარღვევით. გავესაუბრეთ მათ მასწავლებლებს და გამოვყავით ის სირთულეები, რომელსაც მასწავლებლები აწყდებიან მათთან ურთიერთობისას სწავლების პროცესში.

სიტუაციის ანალიზის შემდეგ, შევაფასეთ სსსმ მოსწავლეთა აკადემიური უნარები. კითხვის უნარის შესამოწმებლად სსსმ მოსწავლეები შეფასდნენ შემდეგი კომპონენტების მიხედვით: ფონემატური სმენა და ფონოლოგია, ასოთა გამოსახულების ფორმის აღქმა, მსგავსი მოყვანილობის ასოთა განსხვავება, ანბანის ასო-ბგერების ცნობა და დასახელება, მარცვალთა რაოდენობის აღქმა წაკითხულ სიტყვაში, წაკითხული სიტყვის შინაარსის წვდომა, მიხვედრითი კითხვა. სსსმ მოსწავლეთა წერის უნარის შესაფასებლად კი

გამოვიყენეთ შემდეგი კომპონენტები: წერის მოტორული კომპონენტი, ნაწერის ვიზუალური მხარე, ორთოგრაფია/მართლწერა, კარნახით წერა, ნაწერის შინაარსობრივი მხარე.

აღნიშნული შეფასების შედეგად გამოვაკლინეთ სსსმ მოსწავლეთა წერა-კითხვის უნარის განვითარების აწმყო დონე და სირთულეები წერა-კითხვის სწავლების პროცესში.

სსსმ მოსწავლეთა წერა-კითხვის უნარის განსავითარებლად დავალებები განვსაზღვრეთ მულტიმოდალური მიდგომის გამოყენებით, რაც გულისხმობს სწავლებას სხვადასხვა სენსორულ არხზე დაყრდნობით. წერა-კითხვის სწავლება ხდებოდა როგორც მხედველობით, ასევე სმენით და კინესთეტიკურ-ტაქტილური არხების დაკავშირებით.

ჩვენი თავდაპირველი მიზანი იყო, გაგვეგო რამდენად არის ეფექტური მულტიმოდალური მიდგომა წერა-კითხვის უნარის განვითარების დროს. სწორედ ამიტომ, ექსპერიმენტული ჩარევის შემდეგ ჩავატარეთ პოსტ-ტესტი იგივე სავარჯიშოებით, რაც პრე-ტესტში გამოვიყენეთ.

ექსპერიმენტული ჩარევის ბოლოს ერთმანეთს შევადარეთ პრე და პოსტ ტესტების შედეგები და გავაკეთეთ ანალიზი, რომელზე დაყრდნობითაც შევიმუშავეთ რეკომენდაციები სსსმ მოსწავლეებთან მომუშავე მასწავლებლებისთვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები:წერა-კითხვა, ჰოლისტური, ავტომატიზირება, ინტერვენცია, მულტიმოდალური, სსსმ მოსწავლე, ინტელექტუალური დარღვევა, ნატიფი მოტორიკა

Abstract

As it is known, the ability of reading and writing and their development are the strongest pillars of learning. They are the basics of learning not only native language and literature, but also any other subjects teaching.

Our Master's thesis is focused on exactly the strategies of reading and writing.

Teaching of reading and writing to the Special Educational Needs (subsequently SEN) students, is one of the main problems. SEN students, which are not able to read and write, cannot overcome minimum border determined by National Academic Plan lag behind their peers in studying, have low motivation of studying. Failure in academic achievements leads to the behavior and emotional field disorder in SEN students, more complicating possession of the academic skills.

In order to solve the problems we decided to develop the strategies of improving SEN students' reading and writing skills and estimate their efficiency while using research experimental model. 4 SEN students participated in research, with light intellectual infringement. We have talked to their teachers and indicated the complications, which the teachers face while teaching them.

After analyzing the situation we estimated SEN students' academic skills. In order to check reading skill the SEN students were estimated under the following components: phonetic hearing and phonology, perception of the letter shapes, find difference between the letters of same shape, understanding the letter-sounds and naming them, perception of syllables in the read word, understanding the read word meaning, understand the read. In order to estimate the writing skills of SEN students, we used the following components: motor component of writing, visual side of the written text, orthography/spelling, dictation, content side of the written text.

Based on the mentioned estimation we revealed the preset state and complications of reading and writing complications during teaching SEN Students.

In order to develop SEN students' reading and writing skills we separated the tasks by multimodal approach, which includes teaching, relying on several sensor channel. Teaching of reading and writing was performed as visually, also by connecting hearing and kinesthetic-tactic channels.

Our primary aim was to reveal how effective the multimodal approach while teaching reading and writing is. That is why, after experimental intervention we performed a post-test with the same exercises, used in pre-test.

At the end of the experimental intervention we compared the results of pre and post-tests and made analyze, based on which we developed recommendations for the teachers working with SEN students.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით ჩვენი სამაგისტრო თემის ხელმძღვანელს, ქალბატონ თინათინ ჭინჭარაულს, თანახელმძღვანელს, ქალბატონ ნათელა მაღლაკელიძეს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა პედაგოგებს, ექსპერიმენტში მონაწილე სამიზნე ჯგუფს (ოთხი სსსმ მოსწავლე), ილიას უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ თამარ ბრეგვაძეს.